წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

კვირა, 4 დეკემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., სხვა ადგილებიდან ... ფასი: სტრიქონი პეტიტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. ყოველდღიური განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ.; ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 501 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 501

შვილები: იასონი, ისიდორე, კოლია და გრიშა გეგელაშვილები და ელენე დარჩიაშვილისა, რაჟდენ, კოწია, ელისაბედი, პარმენი, ვანო, გრიშა, თამარა და სტეპკო დათეშიძენი, მართა სტეფანეს ასული დათეშიძისა, ელისაბედ ნემსაძის ასული გეგელაშვილისა, ქრისტინე ბიჭია გეგელაშვილის ასული ზუბენკოსი და სერა ბიჭია გეგელაშვილის ასული ქაჯაიას შვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ პირველთა დაუვიწყარი დედის, მეორეთა მამიდის, მესამის მულის და უკანასკნელთა რძლის

**ირინე ბესარიონ დათეშიძის ასულის**

**გ ე გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს**

სულის მოსახსენებლათ ორმოცის წირვა პანაშვიდი დანიშნულია 6 დეკემბერს, სამშაბათს დილის 10 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში.

---

აზნ. მართა გრიგოლის ასული, მიხეილ, დიმიტრი, კონსტანტინე, სერგო და სიმონი სპირიდონის ძენი და ვერიჩკა სპირიდონის ასული გოდაბრელიძენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ პირველის უძვირფასესი ქმრისა და დანარჩენთა უსაყვარლესი მამის

**სპირიდონ ოთარის ძე გოდაბრელიძის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება 6 დეკემბერს დილით სამშაბათს სოფ. ქორეთში მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე.

---

ორშაბათს, 5 დეკემბერს, დილის $9^1/_2$ საათზე ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მიცვალებულის

**პავლე ივანეს ძის ჯიმშეროვის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ დამწუხრებული მეუღლე მისი ელისაბედ სტეფანეს ასული შვილებითურთ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3. ტელეფონი № 101. თ.

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასად გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 17.

304—1—თვით.

**ექიმი** ი. ჩარმქოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

გ-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ'

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საოფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

**ექიმი** ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

**ექიმი** მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაჯანიძისა.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

დებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

**საინჟინერო ჯარის მუშაობა**

სამხედრო, ნამდვილიდან

**პეტროგრადის ნამირალნი**

2 სერია დრამა 5 ნაწ.

**ქალის ოცნებანი** კომედია

ორშაბათიდან, 5 დეკემბრიდან ახალი პროგრამა

**ო მ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა** მიმდინარე ამბები

**ჰ ა ნ ნ ა მ ე რ ი** მხატვრული დრამა 4 ნაწ. **კაზიმირ ტეტმაიერის** ცნობილ რომანის შინაარსის მიხედვით

**ალკრძალული ღამე** სახუმარო

---

## ო რ ჯ ე რ ზ ე დ ი-ზ ე დ.

---

## ქუთაისის ქალაქის თ ე ა ტ რ ი

წარმ. № 24—25

შ ა ბ ა თ ი, 3 დ ა კ ვ ი რ ა 4 დ ე კ ე მ ბ ე რ ი

ს ო ფ ო კ ლ ე:

# ოიდიპოს მეფე

ანტიური ტრაგედია.

მონაწილენი: ქ-ნი ლოლუა ა., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ჩხეიძე ნ., ბ-ნ: გელოვანი მ., გომელაური ზ., გუგუშვილი ალ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ე.,

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა

წარმოდგენა დაიწყება საღ. სრულ 9 საათზე

მეორე ზარის შემდეგ თეატრში არავის შეუშვებენ, რადგანაც მოქმედება დაიწყება პარტერში.

კვირას, 11 დეკემბერს **ნინო ჩხეიძის** საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

**„მარგარიტა გოტიე“.**

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

**საინჟინერო ჯარის მუშაობა** სამხედრო ნამდვილიდან.

2 ს ე რ ი ა

**მშობლიურ ოლგას დაყოლებით**

დრამა 4 ნაწილად ჩაროვის, პანოვის, ვალევსკის და რიმსკის მონაწილეობით.

**ი ჟ ვ ნ ე უ ლ ო ბ ი ს ტ ა ნ ჯ ვ ა ნ ი**

კომედია 2 ნაწ. პრენსის მონაწ.

ორშაბათიდან, 5 დეკემბრიდან ახალი პროგრამა

**ო მ ი ს მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა** მიმდინარე ამბები

**დ ი დ ი ს ი რ ც ხ ვ ი ლ ი**

ძლიერი დრამა 5 ნაწ. მხატვრული სერია ტიბერ ფილმისა ბიანკა ლორენცონისა და ემილიო პონეს მონაწ.

---

ქ. თფილისში დაარსდა

# მელნის ქარხანა

# „ა ლ ა რ ო დ ი ა“

**ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,**

**ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათიით დაეთმობათ.**

მელანი ასლის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.

**მ ი ს ა მ ა რ თ ი:** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

— **მიმომხილველთა აზრი.** გერმანელების მიერ ბუქარესტის აღების გამო „ფორვერც“-ში შეიდმანი სწერს: „კაიზერის ბრძანებით ბუქარესტის აღება მთელ პრუსიაში ხალხს ზარების რეკითა და ზარბაზნების სროლით შეატყობინეს, მაგრამ რუმინიის დაპყრობას არ უნდა მივცეთ მაინცადამაინც დიდი ფასი. ეს მხოლოდ თავდაცვითი გამარჯვება არის და ნება არა გვაქვს ამიტომ ნახევარი მსოფლიოს დაპყრობის პროექტი შევადგინოთ. ჩვენი მოწინააღმდეგენი მარცხდებიან, მაგრამ მაინც არ არიან დაუძლურებულნი. მათ შეუძლიათ სთქვან—ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ საბოლოოდ კი არაო“.

— „რანეე უტრო“-ში ბ-ნი პოლევოი სწერს „ზოგს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ რუს-რუმინელებმა შეტევა დაიწყონ ბუქარესტის მიმართულებით. ეს შეტევა, რომ დავიწყოთ, არაფერს შეგვმატებს დაპირიქით მოწინააღმდეგისთვის ხელსაყრელი იქნება, რადგანაც სხვა ასპარეზზე, რომ შევუტიოთ გერმანელები ვერ მოასწრებენ იქით გადაყვანას იმ 800000 კაცის გადაყვანას, რომელიც რუმინიაში ყავს დაბანდებული.

— **სამხედრო მოქმედება.** რიგისა და დვინის ბრძოლის პირზე გერმანელები პოზიციების გამაგრებითა და ჯარის ზურგის მდგომარეობის გაუმჯობესობაში არიან გართულნი, მაგრამ, მიუხედავად ამისა მათ ხშირად მოაქვთ იერიშები ეგრედ წოდებულ „ქიმიურ საშუალებებით“ გერმანელები ამ ხაზებზე ღამ ღამობით გაფაციცებით სჩხრეკენ რუსების პოზიციებს რაკეტებისა და პროჟექტორების შემწეობით.

— პოლესიეს სამხრეთ ნაწილში გერმანელების ჯარის ზურგი პარტიზანების რამდენიმე ჯგუფი მარჯვედ მოქმედებს და გერმანელებს საქმეს უჭირვებს. გერმანელებმა მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღეს და, დღე ისე არ გავა, რომ 2—3 კაცი არ ჩამოაღრჩონ და არ დახვრიტონ.

— ინგლისის საიმირბაროს ცნობა მიუღია, რომ ატლანტიის ოკეანეში 21 ნოემბერს შეუნიშნავთ გერმანიის ერთი სავაჭრო გემი, რომელიც ფარულად ყოფილა შეიარაღებული და მოკავშირეთა გემებს თავს ესხმის.

— „ლლოიდი“ იტყობინება: გერმანელებს 9 ათასი ტონის წყალ წყვის გემი „კალედონია“ დაუღუპავთ.

— **სხვა და სხვა ცნობა** ბულგარეთის მეფისწულს კირილეს ტურტუკაიში გერმანულ და ბულგარულ ენაზე შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს: „ახლოა ის დრო, როდესაც ჩვენ გამარჯვებულნი რუსეთის ქალაქებში შევალთ ად ბარბაროს რუსებს ვასწავლით, როგორ უნდა ომის კულტურულად წარმოება. რუსეთს ბალკანეთზე ინტრიგების მოწყობისათვის შესაფერ გაკვეთილს მივცემთ“. საყურადღებოა რომ მეფის წულ კირილეს რუსეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდო აქვს მიღებული.

— ბრაზილიის მთავრობას გადაუწყვეტია მიისაკუთროს გერმანელ ავსტრიელთაის იარალაყრილი გემები რომელთაც ბრაზილიის ნავთ სადგურებს შეაფარეს თავი. ხსენებულ გემების უფროსებს თავის საელჩოებისაგან ბრძანება მიუღიათ სცადონ ნავთ სადგურებიდან გაქცევა.

— **საბერძნეთი.** რომის პოლიტიკურ წრეების აზრით ვენიზელოსის მეთაურობით მომხდარი აჯანყება საბოლოოდ ჩაქრა და სრულიად უნაყოფო გამოდგა, რადგანაც წინდა წინვე ეტყობბოდა რომ ამბოხება არ იყო სერიოზული.

— იტალიაში ცნობები მიუღიათ, რომ მოკლე ხანში მოკავშირეები საბერძნეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას შესწყვეტენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომი თუ ზავი.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოყვანილი იყო სტოკჰოლმიდან მოსული დეპეშა, რომელიც შეიცავდა ცნობას გერმანელების მიერ ზავის საკითხის აღძვრის შესახებ.

თითქოს აღსრულდა მოკავშირეთა დიდი ხნის ქადილი, რომ დაუძლურებული და ქანცგამოლეული გერმანია ზავს მოითხოვს. უეჭველია ეს ცნობა სწორედ ასე იქნებოდა განმარტებული ზოგიერთ წრეებში და ზოგიერთ ორგანოში.

საერთოდ ტრადიცია ისეთია, რომ ზავს დამარცხებული მხარე ითხოვს, რადგან მას სურს თავი დააღწიოს სრულიად განადგურებას და წინდაწინვე დათმობით რამდენიმედ უკეთეს პირობებში ეკვრის ზავით გამარჯვებულს.

ასე ყოფილა წინად, მაგრამ ეხლა სრულიად სხვა სარჩული უდევს გერმანიის მიერ ზავის საკითხის აღძვრას. ამის გასაგებად საჭიროა შევიტყოთ: იმყოფება თუ არა გერმანია დამარცხებულის პირობებში შეწუხებულია იმდენად, რომ აღარ შეეძლოს ომის წარმოება. თუ არა; რამდენად შეუმცირდა ჯარი რამდენად დაეცა სულით გერმანიის ხალხი და რამდენად დაკარგული აქვთ იმედი ომის თავის სურვილისამებრ დასრულებისა.

ამ კითხვების ზერელე გარკვევაც კი მოგვცემს მასალას იმ ობიექტიურ პირობების გასაგებათ რომელნიც დაგვარწმუნებენ შეგვიძლია ჩავთვალოთ ცენტრალ სახელმწიფოთა კოალიცია დამარცხებულად, თუ არა.

გერმანიის ტერიტორია სრულიად თავისუფალია, არც ერთი ადლი მოკავშირეებს არ უპყრიათ, ავსტრიის სახელმწიფოს მთლიანობაც არ არის დარღვეული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შედარებით მცირემნიშვნელოვან აღმოსავლეთ გალიციისა და ბუკოვინას, რაც რუსის მამაც მხედრობას უპყრია.

ბულგარეთს თავისი პატარა სამეფო არა თუ უვნებელი რუმინიის დაპყრობის შემდეგ სრულიად უზრუნველყოფილიც აქვს.

დარჩა ერთი ოსმალეთი, რომელიც საკმაოდ დაზარალდა ომის განმავლობაში: დაკარგა ეგვიპტე და სომხეთი.

მაშასადამე ცენტრალ სახელმწიფოთა კოალიციის დანაკარგში უნდა ჩავთვალოთ: გალიცია ბუკოვინა, სომხეთი, და გერმანიის რამდენიმე არა დიდ მნიშვნელოვანი ახალშენი.

ეხლა განვიხილოთ, თუ რა შეიმატა ხსენებულმა კოალიციამ. მან შეიერთა თითქმის მთელი ბელგია, საფრანგეთის 10 უმდიდრესი დეპარტამენტი, პოლონეთი, ლიტვა, კურლანდია, სერბია, მთაშავეთი, რუმინეთის უმეტესი ნაწილი და ალბანეთი.

ორივე მებრძოლი მხარეთა დანაკლისის განხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ ის, რომ მაინცდა მაინც ფაქტები არ გვაძლევენ ნებას ცენტრალ სახელმწიფოთა კოალიცია დამარცხებულად ვაღიაროთ.

თუ ცენტრალ სახ. კოალიციის ჯარის რაოდენობას განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ არც ამ მხრივ შეგვიძლია დამარცხებულად ჩავთვალოთ იგი.

თუმცა საგრძნობლად დაზარალდა გერმანიის ჯარი ამ ომის დროს, მაგრამ სამაგიეროდ ავსებდნენ კიდევაც მას და ზოგ შემთხვევაში კი გააძლიერეს იგი და ახალი ერთეულებიც შექმნეს.

თვით გერმანიაში, შიგნით მამაკაცები ერთიანად გაანთავისუფლეს მუშაობისაგან და ბრძოლის ველზე გაგზავნეს, მათ მაგივრად კი დაჭრილ-დასახიჩრებულნი და დედაკაცები ჩააყენეს. გარდა ამისა პოლონეთიდან 1 მილიონამდე ახალი ჯარი გაყავსთ გერმანელებს, ასევე უპირებენ ლიტვას და კურლანდიას. გერმანელები არაფერ საშუალებას არ ერიდებიან თავის ჯარის გასაძლიერებლად; ამას წინად ცნობები მოვიდა, რომ გერმანელ-ავსტრიელებს განუზრახავთ სამხრეთ სლავთა ახალ ფედერაციის შედგენა. მასში სხვათა შორის შევა სერბეთი და მთაშავეთი, საიდანაც ჯარს გაიყვანს; გერმანეთი ერის თავმოყვარეობას ანგარიშს არ გაუწევს და სერბიელებსაც ისე, როგორც ამას სხვა სლავიანებს აღენინებდა ამას, მოკავშირეთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეეიარაღებს.

ფრანგულ და ინგლისურ გაზეთების გამოანგარიშებით გერმანელებს იმაზე მეტი ჯარი ჰყოლიათ, რაც ომის დასაწყისში გამოიყვანეს. ამ გარემოებაში საშუალო კოალიციას ჯარის რიცხვით სრული დასუსტების შესახებ ლაპარაკიც კი მეტია.

ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მტკიცე ორგანიზაციის მეოხებით ჯარისა გამოკვება საუკეთესოდ, ხოლო მშვიდობიან მცხოვრებთა — დამაკმაყოფილებლად მოაწყვეს.

გერმანიის ფლოტი შედარებით მოკავშირეთა ფლოტთან უფრო ნაკლებად არის დაზარალებული და საშუალო კოალიციის სავაჭრო გემების დაკარგვას მოკავშირეთა სავაჭრო ფლოტის გერმანელთა წყალქვეშათა მიერ შესუსტება აანაზღაურებს.

გერმანელთა სულით დაცემის შესახებ არავითარი ნამდვილი ცნობები არ არის. ხალხის სულით დაცემას ომიანობის პირობებში მუდამ მოსდევს ხოლმე მღელვარება, შფოთი, უკმაყოფილება სახელმწიფოს ხელმძღვანელებით. ამის მაგვარს ჯერჯერობით მაინც, ვერაფერს ვხედავთ და „კოპენჰაგენის საკუთარი კორესპონდენტებიც" კი სდუმან და აღარას გვატყობინებენ. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ გერმანელებმა დიდი ძლიერი სიმტკიცე გამოიჩინეს მაშინ, როდესაც მათ უვარგისი „სამხედრო პურით" ჰკვებავდნენ ერთი სამად ამუშავებდნენ და ძალიან ხშირად კართოფილი და უვარგისი პურიც შემოკლებიათ და ხორცზე და ერბო კარაქზე ლაპარაკიც მეტი იყო.

გერმანეთის ხალხმა უდრტვინველად აიტანა 3 ჯერ აღმოსავლეთ პრუსიისა და ერთხელ გალიციის დაკარგა, სერბეთის წინააღმდეგ პირველად გაგზავნილ ჯარის დამარცხება, მოინელა მარნა, ძ ახალ შენების ჩამოშორება. ამის შემდეგ ჩვენ ნება არა გვაქვს გერმანეთის ხალხს სულით დაცემული ვუწოდოთ.

იმედიანობის მხრითაც არ უნდა იყვნენ ცუდ მდგომარეობაში გერმანელები. მაშინ, როდესაც გერმანიის ლაშქარმა ორივე მთავარი ასპარეზებით მოწინააღმდეგის შეტევა შეაჩერა და ამის შემდეგ კიდევ შესძლო მდიდარი ვალახიის დაპყრობა, არა გვგონია, რომ გერმანიის ხალხი უიმედობას მოეცვას.

ყველა ესეც რომ არიყოს, არ შეგვიძლია ვიფიქროთ, ვითომ იმდენად იყოს შესუსტებული ცენტრალ სახ. კოალიცია, რომ აღარ შეეძლოს ომის გაგრძელება. სწორედ ეხლა აამუშავეს გერმანელებმა თავისი საორგანიზაციო მანქანა და სწორედ ეხლა შემოიღეს საყოველთაო შრომის ბეგარა, ეხლა გაყავთ ბელგიიდან ში და გერმანიაში ათასობით ხალხი „თავდაცვისათვის" სამუშაოდ, სახელმწიფო თვითონ კისრულობს სურსათის მოგროვება-ხალხის გამოკვებას.

მაშასადამე გერმანელები კიდევ ემზადებიან, მათ სურთ ხარბაზნებისა და ტყვიაწამლის დამზადება 75 პროცენტით მაღლა ასწიონ.

ეს, რასაკვირველია, არ მიეწერება გერმანელთა უძლურებას, უიმედობას და პირიქით, ჰმოწმობს იმას, რომ ეს ხალხი ჯერ კიდევ კარგა ხანს არ მოისვენებს.

გერმანელების ინიციატივა ზავის მოთხოვნაში — ეს ერთგვარი დიპლომატიური ფანდია.

საჭიროა გავიხსენოთ, რომ გერმანიის ხელმძღვანელ წრეებში ორი მიმდინარეობა არსებობს: ერთი ანგარიშს უწევს საერთაშორისო ხელშეკრულებებს და პატივით ეპყრობა ნეიტრალ სახელმწიფოთა ინტერესებს, მეორე მიმდინარეობა კი მოითხოვს, რომ გერმანელებმა დაუზოგველი ომი აწარმოონ. მაგალითად, ეს პარტია მოითხოვს, რომ დაუზოგველად იღუპებოდეს ნეიტრალ სახელმწიფოს ის ყველა ის გემები, რომლებიც მოკავშირეთათვის კონტრაბანდის ზიდვაში ეჭვით იქნებიან შენიშნულნი; ძალით ისარგებლონ ნეიტრალ სახელმწიფოების ზღვებით და სხვა.

ამ ორი მიმართულების წინამძღვარნი ბეტმან ჰოლვეგი და ტირპიცი დიდ ხანს აწარმოვებდნენ ბრძოლას და ბოლოს, როდესაც კანცლერს ძლიერი ოპოზიცია გაუჩნდა მთელს იმპერიაში, დღე დღეზე მას გადაყენება მოელოდა, შედრიკა იგი, დაუთმო ხალხის ძალდატანებას და ტირპიცის მიმართულებამ გაიმარჯვა.

მაგრამ რაიმე საბუთი იყო საჭირო გერმანიისათვის უცხო სახელმწიფოებთან თავის მოქმედების გასამართლებლად.

იმისათვის, რომ გერმანეთმა თავის მიზნის მისაღწევად, ნეიტრალ სახელმწიფოების ინტერესები დაარღვიოს, მან ნეიტრალ სახელმწიფოთა წინაშე უნდა აღნიშნოს, რაიმე ისეთი ფაქტი რომელიც გაამართლებს მის ახალ ტაქტიკას.

სწორედ ასეთი ფაქტი მოჰყვება გერმანიის მიერ ზავის მოთხოვნას.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მოკავშირეები უარით უპასუხებენ გერმანელებს და მათ წინადადებას არ მიიღებენ.

თუმცა გუშინდელი, დეპეშა არ გადმოგვცემს არავითარ ცნობას გერმანელთა მიერ საზავო პირობის წამოყენების შესახებ, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არ იქნება ადვილი მისაღები ოთხთა კავშირისათვის, რომელსაც დიდი ადგილები ჩამოაჭრა გერმანეთმა.

გერმანეთის საზავო პირობების მიუღებლობის გამო, მოკავშირენი უარს შეუთვლიან ზავზე მოკავშირეები მოწადინებულნი არიან ომი გერმანეთის განადგურებით თუ არა, შესუსტებით მაინცდაასრულონ და ეს კი, როგორც ვიცით ჯერ არ არის. მოკავშირეთაგან მიღწეული ყველა რომ თანახმა გახდეს ზავისაინგლისისი მაინც არ იზამს და აიძულებს თვის მოკავშირეებს ომი განაგრძონ, რადგანაც მისი არსებობა და ვაჭრობამრეწველობის განვითარება მომავალში იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად შეუმცირდება გერმანეთს ბრძოლის უნარი.

ამიტომ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ რომ მოკავშირეები გერმანიას ზავზე უარს შეუთვლიან და ომის გაგრძელების სურვილს განაცხადებენ.

თუ ეს მოხდა, მაშინ გამოდის, რომ ომის პასუხის მგებლობას მოკავშირენი ღებულობენ თავის თავზე. როცა გერმანია უარს მიიღებს, მაშინ იგი განაცხადებს ნეიტრალ სახელმწიფოების წინაშე რომ, მიუხედავად იმისა, რომ უპირატესობა დღემდე მის მხარეზე იყო და არის, მან მაინც პირველმა აღძრა ზავის ჩამოგდების საკითხი, რომ მან მაინც უარი მიიღო მოკავშირეებისაგან და სისხლის ღვრის გაგრძელება სურთ მოკავშირეებს.

დაახლოვებით ასეთი უნდა იყოს მომავალში ის სიტყვა, რომლითაც გერმანიის მთავრობა ნეიტრალ სახელმწიფოებს მიმართავს იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირენი ზავზე არ დასთანხმდნენ მას.

გერმანელების აზრით ამას მყავება შემდეგი: ან ნეიტრალი სახლმწიფოები მიმართავენ მოკავშირებს კოლლექტიურათ, რომ ზავზე დასთანხმდნენ და ზავის პირობები შემუშავდეს სამშვიდობო კონფერენციაზე, ან და თუ შემდეგში ომის წარმოებას პასუხის მგებლობა მოკავშირეებს ექნებათ დაკისრებული, იგივე ნეიტრალი სახელმწიფოები გერმანელების ბრძოლას სახელმწიფოს თავდაცვად აღირებენ და ამიტომ გერმანეთის მიერ საერთაშორისო უფლებათა დარღვევას უფრო ებილადმიეპყრობიან და მას მოკავშირეთა და ჯიოტობის მიერ გამოწვეულად ჩასთვლიან, რადგანაც გერმანიის უეჭველი განადგურების აზრს ვერ შეურიგდებიან ნეიტრალი სახელმწიფოები ვერც ეკონომიურის, ვერც პოლიტიკურის და ვერც საერთო პროგრესის თვალსაზრისით. გერმანიამ მსეთი განძეულება მისცა მსოფლიო კულტურას, იმდენად წასწია წინ იგი, რომ [illegible] მკვეთრი და საშიშოც არ იყოს მისი მხედრობა, გერმანელ [illegible] და განიავებას არავინ დასთანხმდება თუ კი ეს მოხდა ე. ი. [illegible] ნება მისცეს, რასაკ საერთაშორისო უფლება ანიჭებს მებრძოლ მხარეს, მაშინ გერმანეთი ხელებ გახსნილი იქნება და ადვილი შესაძლებელია გაამართლოს კიდეც თავის დაპირება რომ ისინი „შეეიარაღებენ სამხედრო ტყვეებს, გაჰგზავნიან თავისივე ძმებთან საბრძოლველად, ხოლო ზურგიდან ტყვეებს მიუყენებენ დახოცილ გერმანელთა ცოლებს ტყვიის მფრქვეველებით, რომ იარაღის დაყრის და ოლდატის პირველ ცდასთანვე ყოფილი ტყვეები თვითვე დაჰხოცონ.

ზაქ. ბუსურაშვილი.

---

P. S. ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც დეპეშამ გადმოგვცა გერმანეთისა და ავსტრიის მთავრობების ნოტა, რომელიც რომის პაპისათვის. გადაუციათ ამ ნოტის ავტორები ომის მთელ პასუხის მგებლობას, როგორც ამას ჩვენ წერილში აღვნიშნავთ, მოკავშირეებს ახვევენ თავს; ასეთივე აზრს ამტკიცებს ბეტმან ჰოლვეგი თავის სიტყვაში, რომელიც რეიხსტაგში წარმოუთქვამს.

ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მოკავშირეები ეხლა, ამ პირობებში არ დასთანხმდებიან ზავს გერმანეთს, სავსებით მართლდება.

ზ. ბ.

# ახალი ამბავი.

რადგან ქუთაისში ყვავილით ავათმყოფობა თან და თან ძლიერდება, ამის გამო ქალაქის გამგეობა შეუდგა მსურველთა უფასოთ აცრას. აცრიან ქალაქის უფასო სამკურნალოში (თბილისის ქუჩაზე) დღეს დილის 10 საათიდან 11 საათამდე.

◆ დღეს დილის 11 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება საფინანსო კომისიის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება ქალაქის გამგეობის მიერ გამომუშავებული 1917 წლის ხარჯთაღრიცხვა.

◆ ფოსტა ტელეგრაფის იმ მოსამსახურეებს, რომელთაც 1918 წელში უწევდათ ჯარში გაწვევა და მიმდინარე წლის დამლევამდის მიიღეს თავისუფლება, ახალი ბძანებით კვლავ მისცემენ თავისუფლებას ომის გათავებამდი.

◆ გუშინ ქუთაისში თბილისის არც ერთი გაზეთი არ მოსულა.

◆ ვინაიდგან უკანასკნელ ხანებში ქუთაისში თანდათან გავრცელდება მოწაფეთა შორის სხვადასხვა გადამდები სნეულებანი, (ქუნთრუშა, ყვავილი, ხუნაგი და სხვ.) ამის გამო ადგ. კლასიკური გიმნაზიის დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას შეადგინოს განსაკუთრებული რიც-

---

# ძველი ათონის მთა და ქართველი მამანი.

მას შემდეგ, რაც საქართველომ პოლიტიკური და ეკლესიური უფლებები დაჰკარგა, ქართული ეკლესიის საქმე დაემხო როგორც შინ ისე გარეთ საზღვარ გარეთელი ეკლესია მონასტრები: სინას მთაზედ, იერუსალიმში ათონზე და სხვაგან და საუბედუროთ შინაური მონასტერი ეკლესიებიც დღეს ყოფილის აჩრდილსღა თუ მოგვაგონებენ. ისინი თავისი ნაშთებით თუ იზიდავენ მოსწავლეებს, ხოლო, რაც შეეხება მოღვაწე განსწავლულ პირებს ამაზე ლაპარაკი მეტია; საზღვარ გარეთელ მონასტერთაგან მხოლოდ ათონზედ იხსნება კიდევ საქართველოს სახელი. და ეს რამდენიმე მოღვაწე სულიერი მამების მეოხებით, რომელნიც ეხლა იღწვიან და იბრძვიან წინააღმდეგ ბერძენთა ბერების სიყვრაგ-სიმხეცისა, რომლებმაც ამ ბოლოს დროს მთლათ დაიკავეს და ხელთ იგდეს ის აურებელი უძრავ მოძრავი სიწმიდ-სიმდიდრე, რომელსაც, საერთო სახელი ათონის ივერიის კარისბჭის ღვთის-მშობლის მონასტერი ეწოდება.

ივერიას რომ ეკლესიური თავის უფლება მაინც შერჩენოდა, ასე ადვილად არ დასთმობდა თავის სიმდიდრეს, თავის ქრისტიანულ, ცხოვრების ზნე ჩვეულების მასწავლებელს თავის სასულიერო და საერო პირთა აღმზრდელ ბუდეს ათონის მონასტერს. მაგრამ ასეთია სხვის ხელში შემჩვარე ობლის ბედი და ამ ბედს ვერ ასცდა სულიერად და ხორციელად, დაობლებული საქართველოც. მით უფრო მადლობის გამხნევების და დახმარების ღირსნი არიან ის რამდენიმე ქართველი მამანი, რომელნიც, შორს, ქალკედონის ნახევარ კუნძულზე, საბერძნეთის მიწაწყალზე თავგამოდებით იცავენ რა ჩვენს მამაპაპათა ნაღვაწს ისტორიულ სიწმინდესა და განძს ათონის ისტორიის მონასტერს და უფლებას მასზე განიცდიან უდიერ დევნას და ალ მომრეობას ბერძენ ბერთაგან, მაგრამ მაინც იღვწიან საქართველოს უფლებისათვის ამ წმიდამთაზედ. სამწუხაროს აქაც ჩვენს სრულ ობლობას და უუფლობობას უნდა დავაბრალოთ, რომ არა ვითარ დახმარებას არ ვუწევთ დაობლებულ და ყოველ საშუალებას და შემწეობას მოკლებულთ და უყურადღებოთ დატოვებულთ.

1866 წლიდან, ათონის, მთაზედ დიდ მონასტერში, გარდასწყვიტეს ბერძნის ბერებმა, რომ არ მიეღოთ ქართველები ივერიის მონასტერში და ვინც რომ იყვნენ, ისინიც ყველა გამოაძევებინათ. და კიდეც გამოაძევეს და და აბინავეს ივერიის მონასტრის ახლოს მაღლობზედ, ილია წინასწარმეტყველის კელიაში. მერმეთ კიდევ შეიმატა ქართველი მამები იქ დაბინავებულ თანამოძმეებს, მაგრამ ვერ მოთავსდნენ სივიწროვისა გამო, ვინაიდან იმ კელიაში ოთხი კაცის მეტი ვერ მოთავსდებოდა. შეწოობების აშენების ნება ბერძნებმა არ მისცეს მათ. ქართველები წავიდნენ მონასტერში და სთხოვეს ივერიის მონასტრის ბერძნის ბერებს, მიგვიღეთ ჩვენს მონასტერშიდო, მაგრამ ბერძნის, ბერებმა უარი განუცხადეს. თქვენი მიღება მონასტერში ყოვლად შეუძლებელიაო. დაბრუნდნენ ქართველები თავიანთ ძმებთან და გაიმართა ბჭობა თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. იმ ბჭობაზე დადგენილების თანახმად აირჩიეს ჩვენი ივერიის მონასტრის ახლოს ერთი ადგილი, ღირს შესანიშნავი ძველი ნამონასტრალი მოციქულის და მახარობლის იოანე ღვთის მეტყველისა, სადაც ყოფილიყო ძველად ოთხ კლასიანი საღვთის მეტყველო სასწავლებელი მამათა ჩვენთა მიერ მე X საუკუნეში აშენებული და გარდასწყვიტეს ამ ადგილის შესყიდვა, რათაც უნდა დაჯდომადათ. ქართველმა მამებმა ესეც იცოდნენ, რომ იმადგილს ბერძნის ბერები არ დათმობდნენ, მაგრამ დროს უყურებდნენ მონასტრის წესდებით სამ წელიწადში ერთხელ უნდა გამოიცვალონ მონასტრის შემოსავლიან ადგილებში ძველი გამგეები და ახლები უნდა დანიშნონ, ამას ყურს უგდებდენ ქართველები, იქმნა კიდევაც, რომელიც დიდი დაუძინებელი მტერი იყო ქართველებისა ბერძენი არქიმანდრიტი ილარიონი, დაინიშნა შორს მონასტრის შემოსავლიან ადგილის გამგედ. იმას მიყვნენ კიდევ სხვებიც, რომელნიც ქართველებს ემტერებოდნენ იმათ თანამდებობაზედ მონასტრის საქმეთა გამგებლად დააყენეს იმისთანა პირები, რომელნიც ქართველებს ცოტათი თანაგრძნობით უყურებდნენ. მაშინ დატრიალდენ ქართველი ბერები, იშოვეს სამი ათასი მანეთი. ამასთანავე შეამზადეს დიდი საბოძვარი ახალ დანიშნულ მონასტრის საქმის გამგებლებთან და დიდის თხოვნის შემდეგ დაითანხმეს ახალი მონასტრის საქმის გამგებელნი ზემო აღნიშნული ადგილის შესყიდვაზე. ნება მიიღეს და შეისყიდეს თუარა, მაშინვე ქართველებმა გააკეთეს ადგილობრივი პირობები და დაემკვიდრენ ზემო აღნიშნულ ადგილში იწყეს წირვა ლოცვა და ააგეს შენობები ამ დროს ქართველების მტრებმა, ბერძნის ბერებმა, ყველაზედ მეტათ არქიმანდრიტმა ილარიონმა შეიტყვეს თუ არა, ქართველებმა შეისყიდეს ზემოხსენებული ადგილიო, მოვიდნენ მონასტერში. გამართეს კრება. მთელი მონასტერის კრებული შეაძრწუნეს, როგორ მიჰყიდეთ ქართველებს ეს ადგილიო. დავკარგეთ სამუდამოდ მონასტრიო. ბერძენ არქიმანდრიტის ილარიონის რჩევით, უნდა დაებრუნებიათ მონასტრისათვის ქართველების შესყიდული ადგილი. ეს რომ შეიტყვეს ქართველმა მამებმა, ბერძნის ბერებისათვის საპასუხოდ კრება მოახდინეს, ადგილის დაბრუნების შესახებ და ერთ ხმად გარდასწყვიტეს: ქართველებმა არამც და არამც ცარიელებით და არც ძალით არ დაუთმონ მონასტერს შესყიდული ადგილი. დანიშნულ დროზედ მოვიდნენ-ბერძნის ბერები, ქართველებთან მოსალაპარაკებლად ადგილის დაბრუნების შესახებ განჩინების გამოსაცხადებლად. მოისმინეს თუარა ქართველებმა ბერძნის ბერების გარდაწყვეტილება ადგილის შესახებ დიდის გულს მოდგინებით და გულდასხმით მძიმეთ მოახსენეს ბერძნებს: თუ დიდი მადლობელი იქნებით დაგითმობთ ამ ადგილს, მხოლოდ იმ პირობით რომ ის ჩვენი დიდი მონასტერი ჩვენ დაგვითმეთო. როდესაც ასეთი პასუხი მიიღეს ბერძნის ბერებმა ქართველებისაგან, იმათ შეშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა მერმეთ ისინი ძალას დაადგნენ ქართველმა მამებმა გულდამშვიდებით სთხოვეს ბერძნებს; წაბრძანდით მამანო მონასტერში, თავს ნუ იწუხებთ. თუ სიმართლეს იტყვით ის დიდი მონასტერიც ჩვენია და ეს ადგილიცო. ამ პასუხის შემდეგ ქართველი ბერები გაშორდენ ბერძნის ბერებს. და წავიდენ თავიანთ სენაკებში. ხოლო ბერძნის ბერები შეწუხებულნი და დაღონებულნი წავიდნენ დიდ მონასტერში. როდესაც შევიდნენ ბერძნის ბერები მონასტირში, გამოევება მათ არქიმანდრიტი ილარიონი და უთხრა: ხომ გითხარით მე, ამიერიდან ჩვენგან დაკარგულად ჩავსთვალოთ ეს მონასტერიო. შემდეგ ამისა კიდევ მოახდინეს კრება ბერძნის ბერებმა. მტკიცედ და მკაცრად ერთხმად გარდასწყვიტეს, ქართველებისათვის შეძენილი ადგილის ძალით წართმევა და ძველი ათონიდან გამოძევება და აღმოფხვრა. ეს

ხვი მოსამსახურეებისა ამ სენთან საბრძოლველად, რომელთა მოვალეობა იქნება სხვათაშორის ხსენებულ სენიანთა ბინების „დეზინფექციის“ გაკეთება, ხარჯები რაც დასჭირდება ამ საქმის მოგვარებას დირექტორის წინადადებით უნდა დაეკისროს სახლის პატრონებს.

✦ სიმამაცისათვის დაჯილდოვს შემდეგი ქართველი ოფიცრები: წმ. ანნას მესამე ხარისხის ჯვრით პრაპ. სტეფანე ხავთასი და ალ. გამყრელიძე, წმ. ანნას მეოთხე ხარისხის ჯვრით, წარწერით „სიმამაცისათვის“, პოაპ. აკ. შენგელია და კონსტანტინე ბრეგაძე, წმ. სტანისლავს მესამე ხმრისხის ჯვრით, პრაპ. ლევან ჟორჟაძე.

✦ დაჭრილ დაავადმყოფებული ოფიცრები ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 საავადმყოფოში მოათავსეს შემდეგ დაჭრილი ქართველი ოფიცრები: პრაპ. ბორ. ქორქია და ბაგრატ. გიგაური. ექიმი ავ. წერეთელი.

✦ სადგურზე გასულ კვირაში ივ. ცხაკაიას მოჰპარეს 70 ფუთი ღვინო 1000 მანეთათ ღირებული. ირკვევა, რომ ღვინო მოუპარავს მისთვის ყოფილ მოსამსახურეს, სერაფიონ მიქაძეს, რომლის კვალს პოლიციამ ჯერჯერობით ვერ მიაგნო.

✦ ქალაქის სასურსათო კომისიის 2 ნოემბრის სხდომაზე განაწილებულ იქნა ვაგონები ადგ, ვაჭართა შორის. ვაგონები მიეცა ადგილობრივი მიმოსვლისათვის შემდეგ პირებს: ქატოს მოსატანათ: 1 ვაგონი ნიკო ტერ-სარქისოვს. ნავთისათვის: მიტროფანე ლაღიძეს 3 ვაგ., მარილისათვის: პლატონ ბოკერიას 2 ვაგ., რიფიელ ელიაშვილს 2 ვაგ, იზრაილ პაპიაშვილს 2 ვაგ., ხაიმ რიჟინაშვილს 2 ვაგ, შეშისათვის: იაკობ კაკიტელაშვილს 10 ვაგ, ნიკო ბარკაიას 22 ვაგ., ბრინჯისათვის: შაფათა ენუქაშვილს 1 ვაგ, ხახვისათვის: შაფათა ენუქაშვილს 1 ვაგ., თივისათვის: დავით დამენიას 3 ვაგ., ბაზაძეს 6 ვაგ, ბზესათვის: დამენიას 3 ვაგ., ბაზაძეს 6 ვაგ, ქაღალდისათვის: გოგიბერიძეს 5 ვაგ., სხვადასხვა საქონლისათვის: კ. ბეგლაშვილს 1 ვაგ, პლ. ბოკერიას 2 ვაგ., ელიაშვილს 1 ვაგ., პაპიაშვილს 1 ვაგ., ენუქაშვილს 1 ვაგ., რიჟინაშვილს 1 ვაგ., ქებაძეს 1 ვაგ.,

✦ პირდაპირი მიმოსვლისათვის: ფქვილის მოსატანათ: ეზიკოვს 25 ვაგ., ნიკიფორე ჟანელიძეს 20 ვაგონი. ხორბალისათვის: ჟორჟოლაძეს 1 ვაგ., სარდიონ ასათიანს 1 ვაგ., სიმინდისათვის: პლ. ბოკერიას 1 ვაგ., ტრ. მეძმარიაშვილს 2 ვაგ., ანტყეშელაშვილს 3 ვაგ, ტერ-სარქისოვს 4 ვაგ., ბრეგაძეს 2 ვაგ., სვანაძეს 4 ვაგ. ბაზაძეს 1 ვაგ., რვეულებისათვის: მთავ რიშვილს 3 ვაგ., ქატოსათვის ცყეშელაშვილს 1 ვაგ., ბრინჯისათვის: ენუქაშვილს 1 ვაგ., ასანთისავის: ჯანელიძეს 1 ვაგ., მაკარონისათვის: ჯანელიძეს 1 ვაგ., შუშეულობისათვის: ქებაძეს 1 ვაგ, სამარხვო ზეთისათვის: კუპრაშვილს 1 ვაგ, სხვადა სხვა საქონლისათვის კაკიტელაშვილს 1 ვაგ, ქებაძეს 1 ვაგ.,

# Notturno

(განთიადისას).

**ნ. ოგარევიდან.**

პირველმა სხივმა განთიადისამ
გაჰფანტა ნისლი, დასძლია ბნელი,
და მთის მწვერვალზე ნათლად გამოჩნდა
სახება ჯვრის—მაღალი ძელი.
ძელს ამშვენებდა მის ქანდაკება,
ვის გმობისთვისაც ბრბომ დასდო ფიცი,
ვისი მოძღვრებაც არ შეისმინეს,
ჯალათად ექცა ძმადშენაფიცი!
გული მიკვნესის, ცრემლები მარჩობს,
როს მაგონდები, ნაზარეველო!
ოცნების კონავ, აზრთა მეუფევ,
ტანჯვის გოლგოთავ და გრძნობის ველო!
ღვთაებრივ სიტყვას რად ჰქადაგებდი,
რისთვის შესწირე იდეალს თავი,
რად არ იცოდი, რომ სიმართლისთვის
მტრობა გელოდა ავი და შავი?
ფარისეველთა ვერაგმა საბჭომ
შურის ძიების დაგიგო მახე;
ვერ აიტანეს, რომ შენ,—უებრომ,—
ბიწიერთ გუნდი გაამათრახე!
გადაგიწყვიტეს ჯვარზე სიკვდილი,
იწყეს ხარხარი, მოჰყვენ ღრეობას!...
მარქვი, მოძღვარო, რადად, ან რისთვის
გვიქადაგებდი კეთილ-დღეობას?
ძმობა-ერთობას რად გვასწავლიდი,
რისთვის ემსხვერპლე შენს გულის თქმასა,
თუ კი ძლიერნი ამა ქვეყნისა,
აღარ გაცლიდენ სულის მოთქმასა?
ოხ, ნეტავ, შენს დროს,—იმ შორეულ დროს,
არსებულიყო ბეჭდვის მანქანა,
რომ შენი სიტყვა, შენი მოძღვრება
ქაღალდზე შენვე გადაგეტანა!
მაშინ... ცენზურა,—ეს დიდებული
ჩვენი აღმზრდელი და ჩვენი ლალა,
მზად იქნებოდა, რომ შენს ნაწერში,
რაც მეტი იყო ამოეშალა!
მაშინ არც ერთი—მთელს ქვეყანაზე—
შენგან ნაწყენი არ იქნებოდა,
ცენზურის ფრთებ ქვეშ შეფარებულსა,
ჯვარზე წამებაც აგცილდებოდა!
ან რატომ მაშინ, როს მთის ფერდობზე
სიტყვას ამბობდი, ჰმოძღვრებდი ხალხსა,
რად არ უამბე ბრბოს სულ სხვა რამე,
რად შეჰხაროდი გონებით თალხსა?
რად არ შეეკარ პირობით, ზავით,
ფარისევლურად მლოცველებს დღე-ღამ,
რატომ უარ ჰყავ, რისათვის დაჰგმე,
რაც მოიწონა მათ სინაგოგამ?
თავგამოდებით რისთვის ამხელდი
ბოროტებასა და ავკაცობას?
რად არ იცოდი, რომ ბრბო უმადლო
შემოგწამებდა ფიქრთა ლაღობას?
და... აკი კიდეც გაგაკრეს ჯვარზე,
ჯილდოდ მოგიძღვნეს მწარე სიკვდილი....
დაე, ეს იყოს შენებრ მებრძოლთა
ჰკუის სასწავლო და... გაკვეთილი!

ია ეკალაძე.

ქუთაისი 1916 წ.
პირველი დეკემბერი.

**გუბერნატ. კანცელარიის ცნობები.**

— სოფელ კულის-კარში (ზუგ. მაზრა) 11 ნოემბერს რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები თ-ვს დაესხენ სტეფანე კალანდიას წაართვეს 50 მანეთი და მიიმალენ. პოლიციამ რამოდენიმე დღის შემდეგ გამოარკვია, რომ დამცემლები არიან სოფელ ჰვადუას მცხოვრებნი პავლე ანთია და ხვ. კიკალიშვილი, რომელთაგან ანთია 13 ნოემბერს დარაჯებს შეტაკების დროს მოუკლავთ, ხოლო კიკალიშვილი დაუპატიმრებიათ და გადაუციათ სასამართლოსათვის.

— სოფელ ნაკიკაიანოში (ზუგ. მაზრა) 14 ნოემბერს სამი შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ აჰვე სოფელში მცხოვრებ როსტომა ბუკუჩავას წაართვეს 40 მან. და მიიმალენ. აღმოაჩინეს რომ ეს მძარცველობა ჩაუდენია სოფელ ახუტის მცხოვრებ ტერენტი ჩაჩიბაიას, რომელიც დაპატიმრეს და გადასცეს სამსჯავროს.

— სოფელ ხუთარში (ზუგ. მ.) 11 ნოემბერს ბესია და დავით ლაგვილავაძეებს ერთმანეთ შორის მოუხდათ ჩხუბი: სადაც პირველმა მეოთე ხანჯლით თავში მძიმეთ დისჭრა. ლაგვილავა დააპატიმრეს.

**შეცდომის გასწორება.**

ჩვენი გაზეთის 497 №-ში მეორე გვერდზე მეორე სვეტში წერილში ეპისკოპოზის მგალობელთა „გუნდი“ ზევიდან 19 სტრიქონში დაბეჭდილია: „присвятую“ უნდა იყოს, როგორც ორგინალშია აღნიშნული „трисвятую“ რაც ქართულათ ნიშნავს „სამწმინდა“

მე 26 სტრიქონში დაბეჭდილია: „წარტებათ“ უნდა იყოს: წარმატებათ და სხვ...

## კავკასიის ქრონიკა.

**თბილისი.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა დაწვრილებით ცნობები შეჰკრიბოს ბათუმსა, ართვინსა და არდაგნის ოლქებში ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა რაოდენობისა და გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ, ამ ცნობების მიხედვით, მთავარი გამგეობა დახმარებას გამოითხოვს უმაღლეს მთავრობისაგან.

— სახალხო განათლების მინისტრის გრაფ იგნატევის მიერ შედგენილია პროექტი უნივერსიტეტთა რიცხვის გამრავლების შესახებ. სხვათა შორის საჭიროთ არის მიჩნეული კავკასიელთათვის უნივერსიტეტი თბილისში გაიხსნას. მინისტრის მიერ მოწვეულმა თათბირმა მოიწონა გრაფ იგნატიევის პროექტი და აღნიშნა, რო თბილისში უნივერსიტეტის გახსნამ არ უნდა შეაფერხოს პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე უნივერსტეტი ამ თავითვე უნდა გაიხსნას ორი განყოფილებით: საისტორიო-საფილოლოგიო და საბუნების მეტყველო თუ მოხდა საქიმოც.

— **მცხეთიდან** იწერებიან რომ იქ სატრანსპორტო პუნქტია და აუარებელი ჯარი დგას. მათი საჭიროებისათვის დიდძალი ოთხფეხი საქონელიდგას. ბევრი საქონელი ეხოცებათ და ბებრის ციხესთას შიგ არაგში ჰყრიან. აქ წყალი იშხამება და ერთვის მტკვარს, რომელიც თფილისში სასმელად იხმარება. საჭიროთა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

— **თელავი.** იწყება ზამთარი, მატულობს სიცივე და შეშაც დღითი დღე ძვირდება. ინჟინერმა მაჩრაძე შეუდგა იაპონიურ გოგირდის დამზადებას თელავის შემნახველ მომხმარებელთა ამხანაგობისათვის. ამხანაგად მიიწვია ინჟინერი ლომიძე.

— **ლანჩხუთი** 15 ნოემბერს ადგილობრივ თეატრის დარბაზში შესდგა საზოგადო კრება. კრების მიზანი იყო კულტურული მეურნეობის გავრცელების საქმის მოწყობა ლანჩხუთის ახლო-მახლო სოფლებში. კრებას დაესწრო ყველა კუთხის ოცის-თავები და ადგილობრივი მცხოვრებლები. თავმჯდომარეობდა ქუთაისის გუბერნიის მეურნეთა საზოგადოების თავმჯდომარე ბ-ნი ქუთათელაძე, გმნსახილველი იყო შემდეგი კითხვები; 1, ს, საბოსტნე მიწების დამუშავება, ბაღჩების თესლეულის შეძენა კოოპერატივის საშუალობით, 3, აბრეშუმის თესლისათვის საბეო ფულის შეტანა 4, ხეხილების ნერგების გამოწერა და სხვა.

**უჯირილა.** მევენახეობის და მეღვინეობის კურსები, რომელიც ამ თვის 5-დან -15-დან უნდა გაიმართოს საქარის სანერგეში მოზრდილთათვის, იქნება უფასო და შედეგი პროგრამით:

1, მიწის მომზადება ვაზის გასაშენებლად.

2, სადვინე და საგობე (საჭმელი) ყურძნის ჯიშები.

3. ამერიკული ვაზის ჯიშები და მათი სხვა და სხვა ნიადაგთან.

4, ვაზის გასხვლის წესი, მყნობა, მოვლა, ავათმყოფობანი, მტრები და მათთან ბრძოლა.

5, ღვინის დაყენება და მისი მოვლა გადაღება, დაწმენდა, გაფილტვრა და სხვა.

6, ღვინის გაჭაშნიკება, ღირსებანი, ნაკლულევანებანი, ავათმყოფობანი და საშვალებანი მათთან საბრძოლველად. რას ქვიან ღვინის სიყალბე (ფალსიფიკაცია) ნაჩვენები იქნება როგორ უნდა გაიგო ღვინის სიმაგრე. გაიმართება სხვა და სხვა ღვინოების დაჭაშნიკება (გაშინჯვა).

მსმენელთ უფასოთ დაეთმობათ საქარის სანერგეში ბინა, სანთელი და ცხელი წყალი.

— სოფელ ბიაში (ზუგ. მ.) მცხოვრებმა გლეხმა ტარასი იოსავამ განუცხადა რედუტკალეს ბოქაულს ახვლედიანს, რომ მას ყაჩაღებმა. თეოფანე გეგენავამ, იაკობ შურღაიამ და სილევან გაგულიამ რამდენიმე დღის წინათ წაართვეს 168 მანეთი და წინადადება მისცეს სამ დღეში კიდევ დაეხვედრებია 100 მან. და სთხოვა დახმარება. ბოქაულმა იმ დღესვე გაგზავნა ხსენებულ ადგილას ჩაფრები. ჩაფრებმა დააპატიმრეს ერთი ყაჩაღთაგანი აფანასი გუგუნავა, რომელიც დანიშნულ დღეს ფულის მისაღებათ ესტუმრა იოსავას. და პატიმრებული აღმოჩნდა წევრი გეგენავას ყაჩაღთა ბრბოსი. დაპატიმრებული ყაჩაღი გადასცეს სამართლოს.

## პატარა ფელეტონი.

**ხალხური არაკი.**

(ძაღლთა ბირობის დროინდელი.)

წყალთა შინა და ჰაობში
მრავალია ქვემძრომელი
და იმათში ცბიერებით
განთქმულია ბრძენი გველი.

ტყე და ველის მხეცთა-შორის
ნაქებია ყველგან ლომი:
ვინ მისწვდება ძლიერებით,
ვინ გაბედოს მასთან ომი?

საშინელი გარდაწყვეტილება შეიტყვეს ქართველებმა. რასაკვირველია მათაც გამართეს კრება და ერთ ხმათ გარდაწყვიტეს: არასოდეს არ დავუთმოთ ბერძნებს ეს ადგილიო და დიდ მონასტერშიდაც შევიდეთ მადლითა ღვთისათაო. აი, მტკიცე და მკაცრი გარდაწყვეტილება ქართველთა და ბერძენთა. ბერძნები ცდილობენ წაართვან ქართველებს მათ მიერ შესყიდული ადგილი და შეძენილი უძრავ-მოძრავი ქონება და ათონის მთიდან გამოაძევონ ისინი სამუდამოდ. ამასთანავე ძველი და ახალი სიწმინდე და ქონება ქართველებისა დაიუფლონ სამუდამოდ; ხოლო ქართველი მამები ცდილობენ რათა შესყიდული ადგილი და შეძენილი ახალი უძრავ-მოძრავი ქონება ხელ-უხლებლად დაცული იქმნეს ქართველებისათვის ამასთანავე,

მომავალში შევიდნენ ჩვენს დიდ ივერიის მონასტერში და აღუდგინონ ქართველებს სამუდამოდ მისი ფლობა. ასეთია გარდაწყვეტილება ბერძენთა და ქართველ მამათა. თუ რომლის მხარეზეა სიმართლე, ამას მკითხველიც მიხვდება.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ბერძენ და ქართველ მამათა შორის ისედაც მძიმე უთანხმოება და უკმაყოფილება. ბერძნები არ ზოგავდენ ფულის ხარჯვას, მოხერხებით საქმის ჩუმად კეთებას ქართველების გამოსაძევებლად. ქართველების გაჭირვება ბერძნების მიერ მიყენებული, აუწერელია, სხვადასხვა მოხერხებით, დრო გამოშვებით საწყალი ქართველი მამები ბერძენ-ბერებისაგან შევიწროებულნი და შეწუხებულნი, ქონებრივად ღარიბნი, მრავალჯერ მშიერ-მწყურვალნი იყვნენ. ხოლო ისინი ნუგეშობდნენ ლოცვითა და წირვითა და სულიერი სიმხნით და უმკლავდებოდენ ბერძნის ბერებს.

როდესაც ძლიერ სასტიკათ მოეპყრობოდენ და შეავიწროებდენ ბერძნის ბერები ქართველებს, მაშინ ქართველი ბერები მიჰმართავდენ ჩვენს, რუსეთის მთავრობას მფარველობისათვის. ჩვენი მთავრობა ელჩი და დესპანი მოეხმარებოდენ ქართველებს და დიდ მადლობასაც ეტყოდენ ხოლმე დიდი მოთმინებისათვის. ხოლო ბერძნის ბერებს დატუქსავდენ და შეაშინებდენ.

ასეთ აუტანელ განსაცდელს და ქონებრივ სიღარიბეს იტანდენ ქართველი მამები 1866 წლიდან 1883 წლამდის, ესე იგი ჩვიდმეტი წელიწადი ქართველები საქართველოს შემოსავლიდან კმაყოფილდებოდენ მეტი არაფერი შემოსავალი არსაიდან არ ჰქონდათ.

1883 წელს კი, განსვენებულმა ხელმწიფემ ალექსანდრე მესამემ ძველი ათონის ქართველ მამათა გაჭირვება შეიწროება ბერძნის ბერებისაგან და აგრეთვე მათი ქონებრივი სიღარიბე თხოვნით მოისმინა. და ერთ დროულად 15000 მანეთით შეეწია ქართველების სავანეს და 3000 მანეთი წლიურად დაუნიშნა მას, ვიდრემდის საქმე გათავდებოდა ქართველ ბერძენთა შორის. ორი წლის შემდეგ 15000 მან. და წლიური 6000 მან. სულ 21000 მან. მოუვიდა თესალონიკის კონსულს ქართველების სავანის გადმოსაცემად ათონში. ეს რომ შეიტყო განსვენებულმა ბენედიქტე ბარკალაიამ, რომელიც მაშინ ითვლებოდა ათონის ქართველ მამათა წინამძღვრად და საქართველოში იმყოფებოდა მათ წარმომადგენლად, მოვიდა თესალონიკეში და მიიღო ის ფულები, რუსეთის გენერალ კონსულისაგან ხსენებული ფულიდან მამა ბენედიქტემ დაუტოვა ათონში ქართველ მამებს 1000 მან. 20000 მან. თვითონ წამოიღო საქართველოში. შეიყიდა ადგილები, ააშენა ზედ შენობები და ამბობდა ათონის სავანის ძმების არისო. ახლა კი გამოირკვა, რომ იმ ადგილებს და შენობებს მისი ნათესავები და ნაცნობები ეპატრონებიან და უნდათ დაიუფლონ. საქმე ძლიერ ბუნდოვანია. სავანე კი რჩება ცალიერი.

შემდეგ დროებში ქართველები, ზემოხსენებულ ფულს წლიური დახმარების სახით ყოველ წლიურად 3000 მან. ღებულობდენ, ხოლო 1912 წლიდან აღარ მიუღიათ ქართველ მოღვაწე მამებს. მათ ათონიდან მრავალი თხოვნა გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო, მაგრამ ვერაფერი პასუხი ვერ მიიღეს. ამასთან რაც კეთილ მორწმუნე ქართველთაგან იგზავნებოდა მთა წმინდაში საწირავ სალოცავად,

სამშვიდობოთ, და მიცვალებულთათვის, ომის დაწყების შემდეგ არც ეს მიულიათ. ეხლა ოთხი წელიწადი იქნება, რომ ქართველ მამებს არავითარი შემოსავალი არა აქვთ. რუსებმა უარი უთხრეს: ჩვენ არ შეგვიძლია შეწევნაო. ბერძნებმა ასესეს ფული და თუ ვინმემ ასესხა ქართველ მამებს, ეხლა მოადგნენ ბერძნის ბერები და სთხოვენ: ან ფული მოგვეცით, ან სავანე გადმოგვეცით ვალებშიო. ბერძნის ბერები ქართველ მამებს ისე უყურებენ, როგორც მგელი თავის საკბილოს ისინი იმედოვნებენ ქართველების შიმშილით მოწყვეტას და სავანის ხელში ჩაგდებას. ასეთი უბედური გარემოება ეწია ქართველთა ძველი ათონის მამებს. რასაკვირველია ამ ომმა დიდი უბედურება და განსაცდელი დაბადა საზოგადოთ მთელ ქვეყანაზე, მაგრამ ყველგან გაჭირვებულნი ნუგეშინის ცემასაც მოელიან და დახმარებასაც ღებულობენ კიდეც, შეძლებისადაგვარად, ხოლო შორეულ ქალკედონის კუნძულზე, ივერიის ათონის მონასტერში ჩვენი ძველი ეკლესიის უფლების დამცველნი ქართველნი მამანი ყველასაგან უნუგეშოდ და უპატრონოდ იმყოფებიან.

ძველი ათონის ქართველ მამათა წარმომადგენელი.

მღვდელ მონაზონი სამსონი

მაგრამ შურმა აიტანა
მაცთურობით ძველი გმირი:
ლომს მოუსპო წყალში გასვლა;
მიაყენა გასაჭირი!

ზღვის ხმელეთიც ჩემიაო,
სადაც კია წყალის ცვარი:
ისე შეკრა ცხოველთ მეფე,
რომ დაუდვა ყველგან ზღვარი

ლომის დასაუძლურებლად
გადიბირა ტურა, მელა;
დათვიც გაალიზიანა,
რა შეუჩდა ნელა ნელა.

ოკიანეს არ დაჯერდა:
მოინდომა მინდორ-ველი
ოთხფეხებთან სათათბიროდ
მოსრიალდა მათთან გველი.

დათვს მონებიც მოეწვია:
ზღარბი, მაჩვი, ციყვი, მგელი;
ითათბირეს და სამხედრო
გამონახეს გეგმა ძველი.

ლომ-გულების ქვეყანაში
სარდლათ დასვეს ბერი სპილო
და ყურდგელი შემწეთ მისცეს:
ორივ იყო სასაცილო.

ცხოველთ მეფეს შერჩენოდა
ორი ჯიშის მეგობარი:
ერთი იყო ჭრელი ვეფხვი
და მეორე ტყის აფთარი.

სულმდაბლობა წვრილ ფეხობის
კეთილშობილმა იწყინა:
სათქმელად გულში გაივლო,
ულვაშებში ჩა-ცინა.

„ვის გინახავს აბა მითხარ,
ყურდგელი რომ მხედრად იყო?!
როს ყოფილა, რომ მშიშარა
სარდლის მარჯვნით დამდგარიყო?!

ეშმაკის ჭურჭლად ცნობილი,
წყლის და ჭაობის მფლობელი
ახლა ხმელეთს ეტანება,
რომ მოგვიშხამოს სოფელი?!

ორ ბოძოლა ენის პატრონს
ერთგულობა მხეცმა სთხოვოს?!
ქომაგია ახლა მიტომ,
დათვს რომ ქონი გამოსწოვოს.

ტყავს ხომ ქურქათ შეიკერავს,
ხორცის შამხებს ჩამოჰკიდებს;
ქონით მანქანას გაპოხავს
განცხადებას გამოჰკიდებს".

ტურას სული შეუბერა,
ძველ სოროში შეაძვრინა
ცბიერ მელას თითი უქნა
წყლის აკვანში ჩააწვინა.

მალე დათვსაც მოუბრუნდა
და სულ ბღლვირი აადინა:
აღარც დღე და აღარც ღამე
ტკბილად აღარ დაიძინა.

თაფლის სკები ჩამოართვა:
აღარა აქვს სატკბარუნო;
თავის ტეხას დაემუქრა;
მკერდში მისცა საბრაგუნო.

წახდა დათვი, შეეშინდა,
ფალარათი აუვარდა;
ლუკმა ველარ დაიმგრა:
სულ სხვის ჯამში ჩაუვარდა.

აქიმებათ მოიწვიეს
მოკავშირე ტურა — გველი;
წამლით სნეულსა ურჩიეს,
მოსძებნეო ბინა ძველი.

უბედურ ტყეს მიუფინეს
ჟოლოა და მაყვალიო;
ჩვეული ხარ, შეგერგება
რაც გინდ სჭამო მრავალიო.

ს. ყ—ნი.

# რუსეთის შეერთებულ თავად-აზნაურობის ყრილობა.

წლეულს შეერთებულ თავად-აზნაურთა ყრილობაც იმ გზას დაადგა, რა გზასაც ორივე საკანონმდებლო დაწესებულებანი ადგიან დღიდან მათი მოწვევისა ამ შემოდგომაზე. ხსენებულ ყრილობაზე მთავარი ყურადღება ოქტომბრისტ თ. დ. ლვოვის სიტყვას მიუქცევია. თ. დ. ლვოვს ფაქტებით ხელში დაუმტკიცებია, რომ რუსეთი „ბნელი ძალების" ჯერ კიდევ დიდ გავლენას განიცდის. ოქტომბრისტ თავადის აზრით განსაკუთრებით ძლიერ შეუპყრია ამ გავლენას უწმ. სინოდი. უკიდურეს მემარჯვენეთა წარმომადგენლს უთქვამს, ჩვენ ვიცოდით სინამდვილე, მაგრამ, როგორც სჩანს, არც იმდენადაო. თ. დ. ლვოვს წინადადება მიუცია ყრილობისათვის მხარი დაუჭიროს მან სახელმწიფო საბჭოს დადგენილებას, შეადგინონ სახელმწიფოს აწინდელ მდგომარეობის შესახებ მოხსენება და უუმაღლეს მმართველობას წარუდგინონ. კუშელევსი ეხლანდელ უწესრივობის პირველ მიზეზად სთვლის იმას, რომ ხალხში ეხლანდელმა მთავრობამ უნდობლობა გამოიწვია; ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ ეს დაუფარავად მოხსენდეს უმაღლეს მმართველობას ყრილობის კულისებში ხმა დადის, რომ შეერთებული თავად აზნაურობას ხელმწ. საბჭოს ფორმულის ორივე ნაწილს მიიღებს; მხოლოდ ყრილობა ხალხის ნდობით აღჭურვილ მინისტრების მოწვევის საჭიროებას უფრო მკრთალად აღნიშნავს.

— შეერთებულ თავად-აზნაურთა ყრილობაზე მარკოვი არ მიუშვიათ და განუცხადებიათ მისთვის, რომ მას ყრილობაზე ლაპარაკის საშუალებას არ მისცემენ, რადგანაც სათათბიროში მისი სიტყვები მემარჯვენებსაც-კი არ მოეწონათ.

# ქვეყნის ნამირალები.

მთელი ჩვენი მხარე საერთოდ, და კერძოდ სამეგრელო, ყაჩაღთა ბუდედ გადაიქცა.

დღე ერთია და დაცემა და ცარცვა გლეჯა ათასი. ისედაც დაბეჩავებულ და გაძვალტყავებულ ხალხს ეს უბედურებაც ზედ დაერთო.

მოვაჭრე იძულებულია თავისი სავაჭრო 5—6 საათზე მიჰკეტოს და სახლში მოკურცხლოს, რომ თავი დააღწიოს სიკვდილს, მცხოვრებმა ძალაუნებურად 6—7 საათზე სამთელი უნდა ჩააქროს და ეძინება თუ არა მაინც ლოგინში ჩაწვეს, რათა შემთხვევით გამვლელმა ყაჩაღმა სინათლეს თვალი არ მოჰკრას და მადა არ აღეძრას იმ ოჯახში შესვლისა, თარეშისა და ოჯახის სიამაყის ქალიშვილის თუ ცოლის გაუპატიურებისა.

მაგრამ ამით როდი კმაყოფილდებიან თავაშვებულნი! მათი აღვირახსნილი მადა თხოულობს თარეშს არა მარტო ღამით დღისით—მზისითაც და ხუთი ან ათი მანეთის გულისთვის მზად არიან გამოასალმონ ადამიანი წუთი სოფელს.

შარა-გზაზე ხვდებიან მოგზაურთ, დილიჟანებს, ცხენოსანთ, ართმევენ ფულს, ხდიან ტანისამოს თუ ქალია ნამუსსაც. და თუ ვინმე მგზავრთაგანს ცოტა თავმოყვარეობა შერჩენია და წინააღმდეგობა გაუწია, დღეს უმოკლებენ. ერთი სიტყვით, კალმით აუწერელი ამბები ხდება ჩვენს სოფლებში, საზოგადოება მეტად შეწუხებულია, მათი ხმა კანტი-კუნტად გაისმის, —დახმარებას თხოულობენ, მაგრამ ჯერჯერობით არავითარი ნუგეში არ არის. ყაჩაღთა თავგასულობას, და სიმხეცეს საზღვარი არა აქვს!

პირდაპირ წარმოუდგენელია, თუ როგორ შეიძლება ადამიანი იყოს იმდენად მხეცი და ულმობელი, რომ თავისი მოძმე ხუთი, ათი მანეთის გულისთვის წუთისოფელს გამოასალმოს, ანუ თავისი მოძმე, თავისი მეზობელი, მეგობარი და ნათესავიც-კი დაარბიოს, აწიოკოს ყველაფერზე ხელი აიღებინოს!

ყაჩაღთა აღვირახსნილობის შესახებ რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა ჩვენს გაზეთებში, ბევრი აზრი გამოითქვა იმის შესახებ, თუ როგორ ვუშველოთ ამ საქმეს და რა ვიღონოთ, რომ ხალხმა თავი დააღწიოს შიშსა და ძრწოლას, მაგრამ, საუბედუროდ, ყველაფერი რჩება „ხმად მღაღადებელთა უდაბნოსა შინა" და სოფელი ისევ მწარე დღეებს განიცდის, ყაჩაღები არამ თუ თავს ანებებენ სამარცხვინო საქციელს, პირიქით, დღითი დღე უფრო მხეცდებიან და ახალ ახალ საზიზღრობას სჩადიან, რაც დღე გადის მათი ლაშქარი უფრო და უფრო იზრდება და სულ ახლო მომავალში უფრო დიდი უბედურებაა მოსალოდნელი, თუ ახლავე არ ვიზრუნეთ და რაიმე საშუალებას არ მივმართეთ.

სატირელია და თანაც სასაცილო ის მოვლენა რომელსაც ამ დღეებში ადგილი ჰქონდა თურმე ერთ-ერთ სოფელში:

ყაჩაღები თავს დაესხნენ ერთ კარგად შეძლებულ აზნაურის ოჯახს, დარწმუნებულნი იმაში, რომ იმ ოჯახიდან წაიღებდნენ არა ნაკლებ ხუთას, ექვსასი მანეთისა; მაგრამ როდესაც მათ ბედმა უმტყუნა და ოჯახში აღმოჩნდა სულ ოციოდე მანეთი, გადაწყვიტეს სახლის პატრონის მოკვლა, მაგრამ როგორც ყველგან მათშიც აღმოჩნდა ერთი „მიროწცხებული" და კაცთმოყვარე ადამიანი და დააჯერა ამხანაგები ნუ მოვკლავთო, ამხანაგის წინადადება მიღებულ იქმნა, მოკლის ნაცვლად აზნაურს მოპარსეს ცალი ულვაში, რადგანაც მას ფული ძლიერ ცოტა აღმოაჩნდა სახლში, და თან გააფრთხილეს თუ მეორე ულვაშიც მოგვიპარსავს სასკვდილო განაჩენს გამოგიტანთო, ის აზნაური თურმე დღესაც ისე დადის ცალ ულვაშ მოპარსული.

აგრეთვე ერთ ერთ სოფელში მთელი ერთი გვარეულობა ლაჯარიმებულ იქმნა ორი ათასი მანეთით. ფული უნდა გადახდილ იქმნას ერთი თვის განმავლობაში ყაჩაღთა სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი საგვარეულოს ამოჟლეტას და ცეცხლით გადაბუგვას უქადიან.

ასეთი საარაკო და დაუჯერებელი ამბები ხდება ჩვენს სოფლებში, ასეთ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება ჩვენი ისედაც დაბეჩავებული და განადგურების გზაზე დამდგარი ხალხი.

ნეტავ როდის მოეღება ყველა ამას ბოლო; როდის დადგება ის სანატრელი დღე, როდესაც პატიოსან მუშაკს და შეეძლება თავისუფლად ამოისუნთქოს, როცა უნდა მაშინ გაიაროს, როცა უნდა დაისვენოს და არ იყოს იმის შიში და ძრწოლაში, რომ რომელიმე ნაძირალი მას თავს წაეწყდება და წაართმევს თავის სარჩო საბადებელს!

ძ. გეგეჭკორი.

# პროვინციის ცხოვრება.

**სოფ. ახალ-ქალაქი.** ორიოდე ქალის მიერ ორმოცი თუმნით გახსნილი ფურთლეულობის პატარა დუქანი „ცისკარი" დღეს ვრცელ და თვალსაჩინო სახლად იქცა. ის ორ განყოფილებისაგან შესდგება. ერთში საფეხურთა მოთავსებული, მეორეში კი სამკერვალო. საქონელი პირველ ხარისხის ფირმებისაგანაა გამოწერილი; პროხორავის, მარაზოვის, ეუჩინის, თითეულ ნივთს ფასი ზედვე აწერია და მუშტარს ვაჭრობა არ სჭირდება. მახლობელ სოფლებს გარდა შორიდანაც მოდიან მუიდველები, რადგან აქ უფრო ხელსაყრელ ფასებში იძენენ ყველაფერს და კმაყოფილნიც რჩებიან. დღიური ვაჭრობა დაახლოვებით 300—500 მანეთამდე აღწევს. წაი 5—300 მანეთამდეა გასაზღვრული. საქ.

— **ახ ნავალი.** ზოგი ჭირი მარგებელიაო, ამბობენ, სწორედ ასე მოუვიდა საქართველოს ზოგ ქალაქებს და სოფლებს. დიდმა გაჭივრებულმა ცხოვრებამ დაანახათ, რომ ასე ცალ-ცალკე ცხოვრება აღარ შეიძლება. საჭიროა ძალების შეერთება, შეთანხმება, ამხანაგობათა დაარსება, რომ ამით გაუმკლავდნენ აუტანელ გაჭივრებას. მაგრამ არ იქნა ვერ ბედავენ. დღეს გამოჩნდა კაცი—დავით ჭოხიშვილი რომელმაც ამხანაგობის დაარსება მოინდომა. ბევრი ჭკუის მიხდა-მოხდის შემდეგ დაარსდა და მოქმედება დაიწყო „ცხინვალის კოოპერატივმა". ჯერ საქმე კარგად მიდის ზოგი ამ საქმეს ეჭვის თვალით უყურებს, მაგრამ ეს ხომ ყველგან ასეა. ზოგმა კი პირველშივე ამხანაგობას დიდი ნდობა აღუთქვა და ასი, ორასი თუმანი უსარგებლოდ ასესხა, ფაქტი დირს-შესანიშნავია. კოოპერატივმა ხელი გაიმართა და საქმე ჩინებულად მიდის.

— **სოფ. წალენჯიხა.** ათ თვეზე მეტია, რაც დაარსეს აქ კოოპერატივი, მაგრამ საუბედუროდ მან სული დალია. კოოპერატივის დუქნის დაკეტვის მიზეზად წევრების სიმცირეს ასახელებენ. გასაკვირველია, წალენჯიხაზე უფრო პატარა სოფლებში არსებობს კოოპერატივი და წევრთა რიცხვიც საკმაოდ ჰყავს. აქ კი ვერ მოახერხეს შეეგროვებიათ ხალხი, რომ ჩვენ კოოპერატივს სული არ დალევდა. აქაური მოწინავე პირნი ნარდის და ბანქოს თამაშს შეექცევიან და სადა აქვთ დრო საზოგადო საქმეზე იფიქრონ, მასზე იზრუნონ, მით რომ თავისი და ხალხის ინტერესი ესმოდეთ კოოპერატივიც გადარჩებოდა. თ. ა.

— **სოფ. საჭილაო.** ადგილობრივმა ხე-ტყის ქარხნის მუშებმა ერთი თვის წინად მომხმარებელ კოოპერატივს „კავშირის" გამგეობას მიმართეს და თხოვეს ქარხნის ახლო განყოფილება გაეხსნა და მუშებისათვის სადი საქონელი მიეწოდებინა. გამგეობა ამ წინადადებას თანაგრძნობით შეხვდა და ქარხნის გამგესთან მოლაპარაკება გამართა. როგორც სჩანს ქარხნის უფროსმა კოოპერატივის თხოვნა არ შეიწყნარა. ამის შემდეგ ქარხნის პატრონი, ვინ იცის რა ეჭვით, მუშებს ძლიერ მოუღობა და აღუთქვა, რომ მათთვის თვით ქარხანა იზრუნებს, ფურნეს და დუქანს გახსნის და ძლიერ დაკლებულ ფასებში მიაწვდენს საჭმელ-სასმელს. მართლაც ფურნის კეთებას მიჰყო ხელი და გაჩერდა. დღესაც გაჩერებულია და მუშები კი დიდ შევიწროვებას განიცდიან. თ. ა.

# რუსეთი.

სათათბიროში წარმოთქმულ მილიოუკოვის სიტყვის შემდეგ პროტოპოპოვს სათათბიროს გარეკა მოუთხოვნია, მაგრამ ნება არ დაურთავთ. შინაგან მინისტრის თანაშემწეებს ვოლკონსკისა და ბალცს მისთვის განუცხადებიათ, რომ სათათბიროს პირველ კრების შემდეგ მას მინისტრის თანამდებობაზე აღარ დაედგომება და ურჩევდნენ გადამდგარიყო; მაგრამ ამხანაგების რჩევა პროტოპოპოვმა არ შეიწყნარა.

— „რეჩ"-ი იტყობინება, ვითომ ა. ფ. ტრეპოვს უუმაღლეს მმართველობისაგან ფრიად არსებითი შენიშვნები მიეღოს და მას ნაბრძანები ჰქონდეს, რომ დღეიდან ახალი ტაქტიკით იხელმძღვანელოს. ირწმუნებიან, რომ ახალ მიმართულებას ამ ერთ კვირას გაატარებს ცხოვრებაში პრემიერი.

# უცხოეთი.

ბოლო დროს გერმანელი აგენტები შვეციაში ფრიად ხელსაყრელ პირობებში აუარებელ მუშებს ქირაობენ და გერმანიაში სამხედრო ქარხნებში სამუშაოდ გზავნიან.

— ავსტრიის კანდიტატი პოლონეთის ტახტზე, კარლოს-სტეფანე სულით და გულით პოლონელი ყოფილა. პოლონური გაზეთები სწერენ: „გარდა იმისა, რომ იგი პოლონეთის მეფეების, მეშკა I და ბოლესლავ მამაციდან დაწყებული ვლადისლავ იაგელლოსა და კაზიმირ იაგელოვიჩამდე, ყველას მემკვიდრედ ითვლება. კარლოს-სტეფანემ პოლონური კარგად იცის, ბავშვებიც პოლონურ ენაზე სწავლა მიღებული და სამშობლოსადმი სიყვარულით განმსჭვალულნი ჰყავს. თუმცა კარლოს სტეფანე ავსტრიის ფლოტის ამირბარა, მაგრამ პოლონეთისთვის ბევრი უღვაწია. კარლოს სტეფანე პოლონეთის ბევრი არისტოკრატებთან ყოფილა დანათესავებული.

— სომხური წყაროების ცნობით ოსმალეთში სომხების დევნა-შევიწროვება გრძელდება. იმ შემოწირულებებს, რომელსაც ამერიკიდან და ინგლისიდან უგზავნიან დარბეულ სომხებს, ოსმალეთის მთავრობა სომხებს არ ურიგებს.

# წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს: „ეშმაკის მათრახი"-ს მე 38 № ში უმართებულოთ მოხსენებდა ბ-ნი მახანკალე, რომელიც მე ამის გამო სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე. საქმე უნდა გარჩეულიყო სოფ. ეწერ ბაშში, რის ნაცვლად რედაქციამ შემდეგში დანიშნა „ბაში" და ამიტომ [illegible] დგა. სიმართლის [illegible] გიწვევ სამედიატორო სამართალში [illegible] მახანკალე. მედიატორებათ ჩემის მხრივ ვასახელებ დიმიტრი მესხს, ვარლამ მეძმარიაშვილს და პრაკოფი კანდელაკს. თუ სად უნდა შესდგეს სასამართლო, ამას გადასწყვეტენ მედიატორნი, ხოლო ვადას ვაძლევ ორ კვირას. ამასთან ვაცხადებ რომ მტყუანმა მხარემ გადაიხადოს ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ქუთ. განყოფილების სასარგებლოთ ოცი მანეთი (20 მ.) ჯარიმა. მედიატორეთა განაჩენი გამოაცხადოს გაზ. „სამშობლო"-ში. თუ ამ წინადადებაზე არ დათანხმდა ბ-ნი მახანკალე, უფლებას ვიტოვებ ვუწოდო მას შესაფერი სახელი.

კოპიტნარის სადგ. უფროსი

მიხეილ ბარამიძე.

„ჩვენი მეგობრის" მე-221 №-ში ვინმე „მიქს" მოუთავსებია რეცენზია რეალურ სასწავლებელში გამართული ბარათაშვილის სადამოს შესახებ, სადაც შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს ხსენებულ სასწავლებლის მოსწავლეები. როგორც ვატყობ მათი აზრით ამის დამწერი მე უნდა ვიყო. ამით ვაცხადებ, რომ ეს უსაფუძვლო იჭვია; მე მათ სადამოს არ დავსწრებივარ და არც რამე დამიწერია მის შესახებ.

პატ. რაჟდ. გოგოხია.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**"



# რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ. |
| „ | — სადამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —სადამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — სადამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 | „ |


# ავათმყოფნი სუს უნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და სააქიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე ხპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „**ბლენიოზოლი**", როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „სააქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისადე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდნენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი უერდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**

ტროვსკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)